საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი სხირტლაძე

„სამოქალაქო თავდაცვითი სისტემის როლი ტოტალური თავდაცვის პირობებში“

სადოქტორო პროგრამა სამხედრო ინჟინერია

შიფრი 1031

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2024 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

სამშენებლო ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: სამხედრო ინჟინერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამხედრო მეცნიერების დოქტორი

ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მეძმარიაშვილი

ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ მელქაძე

რეცენზენტები: ----------

დაცვა შედგება 2025 წლის „-----„ ----------, --------- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე

კორპუსი I, აუდიტორია ----------

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი ----------დ.ტაბატაძე

Abstract

This dissertation examines the role of the civil defense system within the concept of total defense. The main goal of the doctoral research is to study and evaluate the role of the civil defense system within the framework of total defense, as well as to analyze Georgia's existing civil defense system and develop its strategic vision based on national security needs. In the modern security environment, where threats are diverse and complex, the proper functioning of the civil defense system becomes increasingly important, especially in terms of protecting the civilian population during wartime.

The first chapter discusses the theoretical foundations and historical evolution of civil defense. Based on the analysis of historical evolution, we conclude that civil defense is a flexible system that tries to respond to the challenges facing the country and can adapt quickly when new threats emerge. This chapter analyzes the system's main components, their functions, and interrelationships. One of its main functions is considered to be the protection of civilian population during armed conflicts, natural disasters, and other emergency situations. The critical importance of shelter systems during military operations is discussed, along with their role in saving lives and generally enhancing defense capabilities. Attention is paid to studying international experience. Both successful models (Switzerland, Israel) and examples of countries similar to Georgia are discussed. The historical development stages, achievements, and modern challenges of Georgia's civil defense system are also presented in detail. The unfortunate collapse of the civil defense system (especially infrastructure) after the Soviet Union is emphasized.

The second chapter is dedicated to analyzing the concept of total defense. It discusses in detail the essence and importance of total defense in the modern security environment. The main aspects and advantages that make total defense an attractive strategy for small countries are highlighted. The fundamental principles and components on which the total defense system is built, their interconnection and interdependence are analyzed. Special attention is paid to the issues of adapting total defense principles and approaches in Georgia's reality, existing challenges, and opportunities. The mechanisms of integrating the civil defense system into the total defense concept are also studied. Emphasis is placed on strengthening civil society and ways of their integration into the civil defense system. The importance of a resilient society in the country's security is noted. Finland's experience is presented as a successful model of public involvement and preparedness. The importance of coordination between civil and military structures is highlighted using Sweden's example.

The third chapter discusses the importance of civil shelters based on the Russia-Ukraine war example. Special attention is paid to studying the combat systems used by Russia. During the war, the use of Russian missile systems such as "Iskander," "Kh-101," "Kalibr," and "Kh-22" weakened civilian infrastructure. Attacks in Ukraine were often directed specifically at civilian targets, which clearly indicates the necessity of civil shelters. Russia did not differentiate between military and civilian targets, resulting in many civilian casualties because Ukraine did not have a well-organized shelter system and could not implement their renovation in time. The war demonstrated that quality and reliable shelters are necessary, which can withstand not only explosions but direct hits as well. In response, the Ukrainian government implemented the "Iron Shelter" project, which aimed at reconstructing existing shelters and building new ones. The examination of the Russia-

Ukraine war once again confirmed the necessity of creating long-term and well-established security structures that will protect the civilian population from major threats.
The fourth chapter analyzes in detail the challenges of establishing a civil defense system in Georgia. Three main directions are highlighted: legislation and institutions; infrastructure and public awareness. When analyzing the legislative framework, special attention is paid to defining roles and responsibilities and the effectiveness of existing regulations during wartime. The absence of a central coordinating system is identified as a problem at the institutional level. In terms of infrastructure, the condition of the shelter system, their technical functionality, and readiness to protect the population in crisis situations are discussed. When studying infrastructure challenges, emphasis is placed on the geographical distribution of shelters, their capacity, and compliance with modern standards. When assessing the level of public awareness and readiness, the population's knowledge about shelter locations, their usage rules, and emergency procedures is analyzed. The results of research conducted within the framework of the dissertation, which studied the level of public awareness in civil defense, are presented. The fourth chapter also presents a SWOT analysis of the civil defense system (Strengths, Weaknesses, Opportunities, and Threats).
The conclusion presents a vision for developing Georgia's civil defense, which includes specific proposals for refining the legislative framework, the necessity of modernizing shelter infrastructure, and strategies for raising public awareness. Special attention is paid to the restoration and development of the shelter system, which is critically important for ensuring population safety during military operations on one hand, and increases defense capabilities by maintaining manpower for mobilization reserves on the other. The conclusions presented in the paper aim to strengthen the civil defense system and its effective integration into the country's total defense system, which will ultimately contribute to enhancing the country's defense capabilities and strengthening societal resilience.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების კონცეფცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს როგორც კლასიკურ სამხედრო საფრთხეებს, ისე ასიმეტრიულ გამოწვევებს - კიბერშეტევებს, ჰიბრიდულ ომს, ტერორიზმს, კლიმატურ ცვლილებებსა და პანდემიებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოტალური თავდაცვის კონცეფცია, რომელიც სცდება ტრადიციულ სამხედრო თავდაცვას და გულისხმობს საზოგადოების სრულ მობილიზებას, ეკონომიკური, სოციალური და ინფორმაციული რესურსების ჩართვას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი იკვლევს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის როლს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფარგლებში. კვლევის საგანია

საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გაუმჯობესების გზები და მისი როლი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ტოტალური თავდაცვის პირობებში.

არსებული მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სისტემა, რომელიც აგებულია საბჭოთა კავშირის პერიოდში, მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება: თავშესაფრების ინფრასტრუქტურა მოძველებულია, შეტყობინების სისტემა ფაქტობრივად არ არსებობს, საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს დახვეწას, ხოლო საზოგადოების მზადყოფნის დონე არ არის საკმარისი კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური რეაგირებისთვის.

თემის აქტუალობა: რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესია ნათლად წარმოაჩენს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გაძლიერების აუცილებლობას. უკრაინის ომის გამოცდილებამ აჩვენა, რომ თანამედროვე საომარი მოქმედებების დროს სამხედო სამიზნეებად გამოყენებულია სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და მშვიდობიან მოსახლეობა. საქართველოსთვის, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის, ოკუპირებული ტერიტორიებისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების გათვალისწინებით, ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა. ამასთან, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა მაღალი ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონაში კიდევ უფრო ზრდის სამოქალაქო თავდაცვის სისტემის მნიშვნელობას.

აღნიშნული საკითხების კვლევა და ანალიზი საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კონკრეტული ხედვა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გაძლიერებას და მის ეფექტურ ინტეგრაციას ტოტალური თავდაცვის სისტემაში, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და მოსახლეობის უსაფრთხოების დონეს.

სადოქტორო კვლევის **მთავარი მიზანია** სამოქალაქო თავდაცვის სისტემის როლის შესწავლა და შეფასება ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფარგლებში, ასევე საქართველოში არსებული სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ანალიზი და მისი

განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება ეროვნული უსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი **ამოცანები**:

- პირველი ამოცანა არის **სამოქალაქო თავდაცვის სისტემის შესწავლა.** ეს გულისხმობს სისტემის ისტორიული განვითარების, სამართლებრივი საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურის და ფუნქციების ანალიზს. ამოცანის ფარგლებში უნდა შეფასდეს სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსები, მათ შორის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ინფრასტრუქტურა და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს საერთაშორისო გამოცდილება. ეს ამოცანა შექმნის მყარ საფუძველს შემდგომი ანალიზისთვის და დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაშია სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ამჟამად საქართველოში.
- მეორე ამოცანა მოიცავს **ტოტალური თავდაცვის კონცეფციის სიღრმისეულ ანალიზს**. ეს გულისხმობს კონცეფციის თეორიული საფუძვლების შესწავლას, მისი ისტორიული განვითარების გაანალიზებას და თანამედროვე ინტერპრეტაციების განხილვას. ამოცანის ფარგლებში უნდა შეფასდეს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის გამოყენების საერთაშორისო გამოცდილება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც წარმატებით იყენებენ ამ მიდგომას. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორ ადაპტირდება ეს კონცეფცია თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებთან. ეს ამოცანა დაგვეხმარება შევქმნათ მყარი თეორიული ჩარჩო კვლევისთვის და გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება ტოტალური თავდაცვის კონცეფცია გამოყენებულ იქნას საქართველოს კონტექსტში.
- მესამე ამოცანა ფოკუსირებულია **სამოქალაქო თავდაცვის ინტეგრაციის გზების კვლევაზე ტოტალური თავდაცვის სისტემაში**. ეს მოიცავს იმის ანალიზს, თუ როგორ შეიძლება სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ეფექტურად ინტეგრირდეს ქვეყნის საერთო უსაფრთხოების არქიტექტურაში. ამოცანის ფარგლებში უნდა შესწავლილ იქნას სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის მექანიზმები და საზოგადოების ჩართულობის გზები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორ შეიძლება სამოქალაქო თავდაცვის სისტემამ ხელი შეუწყოს

საზოგადოების მედეგობის გაძლიერებას კრიზისულ სიტუაციებში, ასევე, როგორ შეუძლია მას უპასუხოს თანამედროვე საფრთხეებს. ეს ამოცანა დაგვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს სამოქალაქო თავდაცვის ინტეგრაცია ტოტალური თავდაცვის სისტემაში.

- მეოთხე ამოცანა ფოკუსირებულია **საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირებაზე.** ეს მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ სისტემის ეფექტურობაზე. ამოცანის ფარგლებში უნდა შევისწავლოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა ინფრასტრუქტურა (საბჭოთა კავშირის დროს აგებული თავშესაფრები), საკანონმდებლო ხარვეზები, საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე, და სხვა. ამოცანა დაგვეხმარება გამოვავლინოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს გადაჭრას სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად.
- ბოლო, მეხუთე ამოცანა არის **შევაჯამოთ კვლევის შედეგები და დავსახოთ საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გაუმჯობესების გზები.** ეს ამოცანა წარმოადგენს კვლევის ლოგიკურ დასკვნას და უზრუნველყოფს მის პრაქტიკულ ღირებულებას.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების ხედვა. რისთვისაც:

- **იდენტიფიცირებული და გაანალიზებულია** საქართველოში სამოქალაქო თავდაცვისა და ტოტალური თავდაცვის საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზები და გამოწვევები;
- **შემუშავებულია** საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესების კონკრეტული ხედვები სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- **დასაბუთებულია** თავშესაფრების სისტემის, როგორც სამოქალაქო თავდაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, გავლენა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე;

- საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე **დადგენილია** საქართველოში არსებული თავშესაფრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- **ემპირიული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია** სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების დონე და მზაობის ხარისხი;
- **შედარებითი ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია** სხვადასხვა ქვეყნის ტოტალური თავდაცვის სისტემის საუკეთესო პრაქტიკები და მათი საქართველოში დანერგვის შესაძლებლობები, განსაკუთრებული აქცენტით სამოქალაქო საზოგადოების როლზე.

კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას განაპირობებს მისი გამოყენების ფართო შესაძლებლობები: სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე კვლევის შედეგებს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის, სამოქალაქო თავდაცვის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და თავშესაფრების სისტემის განვითარების სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვა-იმპლემენტაციისთვის. საგანმანათლებლო და კვლევით სფეროში ნაშრომი შესაძლოა გამოყენებულ იქნას მკვლევარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის შემდგომი აკადემიური კვლევების განხორციელებისას. საზოგადოებრივი განათლების კუთხით, ნაშრომი სასარგებლო რესურსი იქნება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვისთვის.

ნაშრომის შინაარსი

თანამედროვე საომარ კონფლიქტებში, განსაკუთრებით კი უკრაინაში მიმდინარე ომის მაგალითზე, ნათლად გამოიკვეთა სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გადამწყვეტი როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში. საქართველოში, სადაც ტოტალური თავდაცვის კონცეფციის დანერგვის გარკვეული მცდელობები არსებობს, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გაძლიერება და მისი ეფექტური ინტეგრაცია წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს.

რუსეთ-უკრაინის ომის გამოცდილებამ აჩვენა, რომ თანამედროვე ომში მოწინააღმდეგე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურებას და მშვიდობიან მოსახლეობაზე ზემოქმედებას. საქართველოს კონტექსტში, სადაც სამოქალაქო თავდაცვის მიმართულება მოიცავს მოსახლეობის დაცვას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას, სისტემის კომპლექსური განვითარება და კვლევა წარმოადგენს აუცილებელ მიმართულებას.

განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დიდი ქალაქები და სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებენ ქვეყნის მედეგობისთვის, მოწყვლადია საჰაერო თავდასხმების და სხვა სამხედრო საფრთხეების მიმართ. ამასთან, არსებული თავშესაფრების მდგომარეობა და მოსახლეობის მომზადების დონე კიდევ უფრო ართულებს ეფექტური სამოქალაქო თავდაცვის განხორციელებას.

დღეისათვის საქართველოში არსებული (საბჭოთა კავშირის დროს აგებული) სამოქალაქო თავდაცვის სისტემა გაუმართავია, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი მიუთითებს, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება და მისი ინტეგრაცია ტოტალური თავდაცვის მიდგომებით დაგეგმილ თავდაცვის პოლიტიკაში შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის.

საკითხის აქტუალურობას ასევე განაპირობებს საქართველოს წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევები და საჭიროება, გაძლიერდეს ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობები ყველა მიმართულებით, მათ შორის სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტის გაძლიერებით. სამოქალაქო თავდაცვის სისტემის როლის კვლევა ტოტალური თავდაცვის პირობებში საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ საქართველოში სამოქალაქო სისტემის განვითარების გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მედეგობის გაუმჯობესებას და მოსახლეობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი კვლევის საკითხების განხილვისა და ანალიზის მიზნით შესწავლილ იქნა სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა. გაანალიზებული ლიტერატურიდან აღნიშნულ თავში წარდგენილია რამდენიმე მათგანი, რომელთა დეტალური ანალიზი ჩვენი აზრით საყურადღებოა, როგორც საბაზისო აკადემიური საფუძველი საბაგირო გზების შესწავლისა და ანალიზისთვის საქართველოს თავდაცვის ძალების მობილურობის გაზრდის მიზნით.

სამეცნიერო კვლევითი პროექტი **"ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი"** (თევზაძე, შუბლაძე, & სხვ., 2024). კვლევის მთავარი საკითხია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის საქართველოს რეალობაში იმპლემენტაციის შესაძლებლობების შესწავლა და ანალიზი. ავტორები მიზნად ისახავენ ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფუნდამენტური საფუძვლების შესწავლას; საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს; კონცეფციის საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან თავსებადობის კვლევასა და დანერგვის პოტენციური ეფექტურობის შეფასებას. კვლევაში ცალკე თავი ეთმობა სამოქალაქო თავდაცვას. ამ თავში ავტორი მიმოიხილავს საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებს და ხაზს უსვავს მის მნიშვნელობას. ნაშრომში კრიტიკულადაა გაანალიზებული სამოქალაქო თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. თავის ბოლოს შემოთავაზებულია საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის რეფორმირებას სამ ძირითად მიმართულებაში: პირველი - "სამოქალაქო თავდაცვის შესახებ" კანონის მიღება, რომელიც განსაზღვრავს ყველა დონის სახელმწიფო ორგანოს უფლება-მოვალეობებს; მეორე - სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ვერტიკალურად ინტეგრირებული მართვისა და რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბებას; და მესამე - მუნიციპალურ დონეზე სამოქალაქო თავდაცვის რაზმების ფორმირება ადგილობრივი სპეციფიკისა და

საჭიროებების გათვალისწინებით. ეს კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს სამოქალაქო თავდაცვის ეფექტიან ფუნქციონირებას ქვეყნის მასშტაბით.

ნაშრომში **„ტოტალური თავდაცვის შესახებ“** (სურმავა, 2021) ავტორი მიმოიხილავს ტოტალური თავდაცვის საერთაშორისო გამოცდილებას. სტატიაში მოკლედაა განხილული სინგაპურის, სკანდინავიის ქვეყნებისა და ესტონეთის ხედვა ტოტალურ თავდაცვასთან მიმართებით: ავტორი მოკლედ აჯამებს თუ რას გულისხმობს თითოეული ქვეყნისათვის ტოტალური თავდაცვის კონცეფცია და რა კომპონენტებისგან შედგება იგი. მაგალითად, ფინეთში ტოტალური თავდაცვა არის უსაფრთხოების სტარატეგია, რომელიც მოიცავს კრიზისების მართვის, სამოქალაქო თავდაცვის და მდგრადობის საკითხებს. ხოლო შვედეთში ტოტალური თავდაცვა არის სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ერთობლიობა. აღსანიშნავია, რომ ავტორის მიერ განხილულ ყველა ქვეყნის მაგალითში სამოქალაქო თავდაცვა განხილულია, როგორც ტოტალური თავდაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური სვეტი. სამოქალაქო თავდაცვა კი გულისხმობს შეიარაღებული ძალების სამოქალაქო მხარდაჭერას, მოსახლეობის დაცვას, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამსახურების ფუნქციონირებას კრიზისის დროს. ნაშრომის მეორე ნაწილში ავტორი განიხილავს საქართველოს მთავრობის ხედვასა და დამოკიდებულებას ტოტალური თავდაცვის მიმართ. ამ თავის პათოსი არის ის, რომ საქართველოში ტოტალური თავდაცვის კონცეფციის მიმართ მაღალი მიმღებლობაა. ამ აზრის განსამტკიცებლად, ავტორი მოკლედ განიხილავს სხვადასხვა კონცეპტუალურ დოკუმენტს და დასძენს, რომ ტოტალურ თავდაცვასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ საკითხები რამდენიმე მათგანშია განხილული. ნაშრომში ასევე გამოკვეთილია ის ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ტოტალური თავდაცვის მიდგომის დანერგვას.

სუვარიანის სტატიაში **„საქართველოში სამოქალაქო თავდაცვა არ არსებობს“** (სუვარიანი, 2008) 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების ფონზე განხილულია საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის მდგომარეობის საკითხი. ავტორი ცდილობს უპასუხოს კითხვებს: *რას ითვალისწინებს სამოქალაქო თავდაცვა? ვის ევალება ამის განხორციელება და რა საფრთხეს მოიცავს ამ სექტორის არარსებობა სამოქალაქო მოსახლეობისთავის?* სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გამართვა,

ნაშრომის მიხედვით, მთავრობის პასუხისმგებლობაა. 2008 წლის ომმა აჩვენა, რომ აღნიშნული სისტემა გაუმართავია, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. ძირითადი აქცენტი კეთდება შემდეგ ნაკლოვანებებზე:

- სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების ინფრასტრუქტურის არსებობა
- საზოგადოების მოუმზადებლობა სამოქალაქო თავდაცვისათვის, რაშიც იგულისხმება
- საკმარისი რაოდენობის სურსათის და მედიკამენტების მარაგების შექმნა
- საჰაერო თავდასხმის შეტყობინების სისტემის არსებობა

ავტორი ასევე გვთავაზობს თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არსებული პრობლემები აღმოიფხვრას.

ბერზინას (Berzina, 2020) ნაშრომი **„ტოტალურიდან ყოვლისმომცველ ეროვნულ დაცვამდე: კონცეფციის განვითარება ევროპაში“** მიმოიხილავს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განვითარებას და მისი გამოყენების მიზნებს ევროპის ქვეყნებში. ავტორი აღწერს, როგორ გაჩნდა ტოტალური თავდაცვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ფართომასშტაბიანი სტრატეგია, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ცივი ომის პერიოდში, ფინეთმა, შვედეთმა, შვეიცარიამ და ავსტრიამ ტოტალური თავდაცვის მოდელი აირჩიეს, რაც დამოუკიდებლობისა და სამხედრო ნეიტრალიტეტის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა მათ. ნაშრომის ძირითადი ნაწილი დეტალურად განიხილავს, როგორ განვითარდა ტოტალური თავდაცვა, რომელმაც საზოგადოების ფართო ჩართულობა, სამხედრო მომზადება და ძლიერი ტერიტორიული თავდაცვა მოიცვა. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ცივი ომის შემდეგ, ტოტალური ომის საფრთხის შემცირებასთან ერთად, ევროპის ქვეყნების ნაწილმა ტოტალური თავდაცვა კოლექტიურ თავდაცვით შეცვალა. 21-ე საუკუნეში, ახალი გლობალური ძალების (ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი) გაჩენამ და კიბერ-ტექნოლოგიების განვითარებამ ევროპულ ქვეყნებს კვლავ უბიძგა ტოტალური თავდაცვის მოდელის განახლებისკენ, მაგრამ უკვე გაფართოებული კომპონენტებით, როგორიცაა კიბერ და ფსიქოლოგიური თავდაცვა. საბოლოოდ, ავტორი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე საყოველთაო თავდაცვის სისტემა,

რომელიც ტოტალურ თავდაცვას ეფუძნება, კვლავაც ემსახურება ეროვნული უსაფრთხოების თვითკმარ და ყოვლისმომცველ უზრუნველყოფას.

ბრაუ თავის სტატიაში, **„ყველა ევროპულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს სამოქალაქო თავდაცვის სამინისტრო“** (Braw, 2022), შეისწავლის ევროპაში სამოქალაქო თავდაცვის ამჟამინდელი მდგომარეობასა და სამოქალაქო თავდაცვის სამინისტროს მნიშვნელობას. ავტორი ამტკიცებს სამოქალაქო თავდაცვაზე ყურადღების გაზრდის აუცილებლობას, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებზე არასამხედრო და ჰიბრიდული თავდასხმების მზარდი საფრთხის ფონზე. კარლ-ოსკარ ბოჰლინის დანიშვნა სამოქალაქო თავდაცვის მინისტრად შვედეთში განხილულია, როგორც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ამ საკითხის გადასაჭრელად. სტატიაში ხაზგასმულია გადამწყვეტი როლი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება ასრულებს ქვეყნის დაცვაში, განსაკუთრებით ომის ან კრიზისის დროს და ასევე გამოკვეთილია მთავრობის მიერ მართული დაგეგმვისა და ორგანიზაციის მნიშვნელობა ამ პროცესში.

გოური კვლევაში **„სამოქალაქო თავდაცვა საბჭოთა კავშირში“** (Goure, 1986) დეტალურად განიხილავს საბჭოთა სამოქალაქო თავდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის ევოლუციას. ის იკვლევს სამოქალაქო თავდაცვის პროგრამების ორგანიზებისა და განხორციელების პროცესს და სამოქალაქო თავდაცვის როლს საბჭოთა საზოგადოების უფრო ფართო პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში. ანდერსონი საბჭოთა სამოქალაქო თავდაცვას ადარებს მის ალტერნატივებს სხვა ქვეყნებში. ავტორის მიერ მოცემული მთავარი განსხვავებებია:

1) იდეოლოგიური მოტივაცია: საბჭოთა ერთგულება სამოქალაქო თავდაცვის მიმართ განპირობებული იყო პოლიტიკური და იდეოლოგიური მოტივებით, მაშინ როცა დასავლეთში ის ძირითადად ბირთვული ომის სავარაუდო საფრთხის მოტივით იყო განპირობებული.
2) გავრცელების ფარგლები: საბჭოთა სამოქალაქო თავდაცვა უფრო ვრცელი და ინკლუზიური იყო, მოიცავდა არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ ძირითად სამრეწველო და სამხედრო ობიექტებს. დასავლეთში სამოქალაქო თავდაცვა ფოკუსირებული იყო სამოქალაქო მოსახლეობაზე.

3) მომზადება და სწავლება: საბჭოთა მიდგომა აქცენტს აკეთებდა ინტენსიურ მომზადებასა და სწავლებაზე. დასავლეთში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების და წვრთნის მასშტაბები უფრო შეზღუდული იყო.
4) ინტეგრაცია სამხედრო სტრატეგიასთან: საბჭოთა სამოქალაქო თავდაცვა მჭიდროდ იყო ინტეგრირებული სამხედრო სტრატეგიასთან და განიხილებოდა, როგორც მთლიანი სამხედრო თავდაცვის სისტემის კომპონენტი.

ანდერსონის აზრით, საბჭოთა მიდგომა სამოქალაქო თავდაცვის მიმართ უფრო ყოვლისმომცველი იყო, რაც ასახავდა საბჭოთა ვალდებულებას შეინარჩუნოს მზადყოფნის მაღალი დონე ბირთვული საფრთხის წინაშე.

თეიმურაზ მელქაძის ნაშრომში ***"საგანგებო სიტუაციებში კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის საფუძვლები"*** (მელქაძე, 2012) საუბარია დამცავი ნაგებობების დაგეგმარების საფუძვლებზე. სახელმძღვანელოში განხილულია დამცავი ნაგებობების სამი ტიპი, რომელთაგან ერთ-ერთი არის თავშესაფრები. წარმოდგენილია დამცავი ნაგებობების კლასიფიკაცია სხვადასხვა ჭრილში (დანიშნულების, ნაგებობის აგების ვადების, დაცვის ხარისხის, ტევადობის, ვერტიკალური განლაგების, სართულიანობისა და სხვა შენობებთან მიმართებით მდებარეობის მიხედვით) და გაანალიზებულია სხვადასხვა ტიპის ნაგებობის აგებისას გასათვალისიწნებელი მოთხოვნები. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია საანგარიშგებო სქემა, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს დამცავი ნაგებობის კონსტრუქციების გაანგარიშება მიმდინარეობს ზღვრულ მდგომარეობათა პირველი ჯგუფის – მზიდუნარიანობის დაკარგვის მიხედვით. ნაშრომში წარმოადგენილი მოთხოვნები ღირებული მასალა არის თავშესაფრების მშენებლობის სტანდარტების განსაზღვრისათვის.

ანდრეს კასეკამპის წიგნში **"სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ესტონეთში"** (Kasekamp, 2000) შესწავლილია ესტონეთის სამოქალაქო თავდაცვის ისტორია, სტრუქტურა და ორგანიზაცია და მისი როლი ქვეყნის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში. ავტორის თანახმად, სამოქალაქო თავდაცვის როლი ქვეყნის თავდაცვის ეროვნულ სტრატეგიაში არის მხარი დაუჭიროს სამხედრო ძალებს და შეავსოს სამხედრო ძალების ძალისხმევა ომის ან კრიზისის დროს. ესტონეთში

სამოქალაქო თავდაცვა მიზნად ისახავს მოსახლეობის გადარჩენისა და დაცვის უზრუნველყოფას და სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფების ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას. ეს მიიღწევა მთელი რიგი ღონისძიებებით, მათ შორის კატასტროფისთვის მზადყოფნის, ევაკუაციის დაგეგმვისა და სასწრაფო დახმარების სერვისებისა და მარაგების მიწოდებით.

ნაშრომის **პირველ თავში** განხილულია სამოქალაქო თავდაცვის სისტემის არსი. სამოქალაქო თავდაცვა წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, რომლის მიზანია მოსახლეობისა და მათი ქონების დაცვა, ასევე მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა კრიზისული სიტუაციის დროს. მისი ძირითადი ამოცანებია მოსახლეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, მართვისა და კავშირგაბმულობის სისტემების მხარდაჭერა, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეების მონიტორინგი და კრიტიკულ სიტუაციებში სამრეწველო ობიექტების მდგრადობის გაზრდა. სამოქალაქო თავდაცვის სისტემა მნიშვნელოვნად განვითარდა მე-20 საუკუნიდან მოყოლებული და მოიცვა ბირთვული საფრთხეებისგან თავდაცვა, ბუნებრივი კატასტროფების მართვა, ტერორიზმის პრევენცია, კიბერუსაფრთხოება და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკები. სამოქალაქო თავდაცვის სისტემა შედგება რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან. ესენია:

1. **სახელმწიფო მართვის ორგანოები**, რომელთა ფუნქციებში შედის პოლიტიკის ფორმირება, სტრატეგიის განსაზღვრა და რესურსების მართვა. ისინი მუშაობენ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, უზრუნველყოფენ კოორდინაციასა და რეაგირების გეგმის განხორციელებას.

2. **ძალები და საშუალებები**: კრიზისული სიტუაციების მოსაგვარებლად გამოყენებული ადამიანური და ტექნიკური რესურსები, ასევე ინფრასტრუქტურა, როგორიცაა თავშესაფრები, ადრეული გაფრთხილების სისტემები და სხვა.

3. **ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რეზერვები**: წინასწარ მობილიზებული ფონდები და მარაგები, რომლებიც მოიცავს მედიკამენტებს, საკვებს და სხვა საჭირო რესურსებს.

4. **კავშირგაბმულობის და მართვის სისტემები**: ეს სისტემები უზრუნველყოფენ კოორდინაციას, ინფორმაციის სწრაფ გავრცელებასა და მართვის სტრუქტურების ეფექტურ მუშაობას კრიზისულ სიტუაციებში, მათ შორის მოსახლეობის ინფორმირებას და მხარდაჭერას.

5. **საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა**: სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ფუნქციებს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს და პასუხისმგებლობებს, ასევე უზრუნველყოფს რესურსების მობილიზაციისა და თანამშრომლობის მექანიზმებს.

მოცემულ თავში ასევე განხილულია სამოქალაქო თავდაცვის სპეციფიკური ფუნქციები და პასუხისმგებლობები კრიზისულ სიტუაციებში. სამოქალაქო თავდაცვას რამდენიმე ძირითადი ფუნქცია აქვს, რომლებიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას და კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებას. პირველი და უმთავრესი ფუნქცია არის მოსახლეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს, რაც მოიცავს ევაკუაციის ორგანიზებას, თავშესაფრების უზრუნველყოფასა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კოორდინაციას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის კრიტიკული ინფრასტრუქტურის, როგორიცაა ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების სისტემების დაცვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი გამართული მუშაობა ან სწრაფი აღდგენა კრიზისის დროს. აღდგენის ეტაპზე, სამოქალაქო თავდაცვა ხელს უწყობს დაზარალებული ტერიტორიების გაწმენდასა და დაზარალებული მოსახლეობის გრძელვადიან მხარდაჭერას. ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის სტრატეგიულ გავრცელებაში, რათა თავიდან აიცილოს პანიკა და უზრუნველყოს საზოგადოებრივი მორალის შენარჩუნება. ამ ფუნქციების შესრულება შესაძლებელს ხდის კრიზისების დროს როგორც დაუყოვნებელი რეაგირებას, ისე გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფას.

სხვადასხვა ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის სისტემების მოდელები განსხვავდება, თუმცა არსებობს საერთო პრინციპები და მიდგომები, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილებაში ფართოდ ვლინდება. განვითარებულ ქვეყნებში

სამოქალაქო თავდაცვა ხშირად ინტეგრირებულია ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, რაც საშუალებას აძლევს ქვეყნებს, სწრაფად და ეფექტურად იმოქმედონ კატასტროფებისა და საფრთხეების დროს. მაგალითად, შვეიცარიის სამოქალაქო თავდაცვის სისტემას აქვს ფართომასშტაბიანი თავშესაფრების ქსელი და თანამედროვე შეტყობინების მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს სწრაფად რეაგირებას. მისი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსახლეობის განათლება და მზადყოფნა.

საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სისტემა საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა ერთიანი საბჭოთა სისტემის ნაწილად. 1990-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სისტემა მნიშვნელოვნად დასუსტდა. 2000-იან წლებში დაიწყო რეფორმები, ხოლო 2014-2015 წლებში მიღებული ახალი კანონით ჩამოყალიბდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, დაინერგა "112" საგანგებო ნომერი და სხვა პროგრამები. მიუხედავად პროგრესისა, სისტემა კვლავ დგას გამოწვევების წინაშე, როგორიცაა საკანონმდებლო ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა.

მეორე თავი ეძღვნება ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ანალიზს. აქ დეტალურად არის განხილული ტოტალური თავდაცვის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში, სადაც ტრადიციულ სამხედრო აგრესიის გარდა აქტუალურია კიბერშეტევები, ეკონომიკურ ზეწოლა, დეზინფორმაციული კამპანიები და სხვა ჰიბრიდული ომის ელემენტები. ამ თავში გამოკვეთილია ის ძირითადი უპირატესობები, რაც ტოტალურ თავდაცვას მომხიბვლელ სტრატეგიად აქცევს პატარა ქვეყნებისთვის. იგი საშუალებას აძლევს ქვეყნებს, მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი შეზღუდული რესურსები და შექმნან მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი პოტენციური აგრესორებისთვის. ტოტალური თავდაცვის კონცეფცია, ასევე, ხელს უწყობს ეროვნული ერთიანობის გაძლიერებას და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას. გაანალიზებულია ის ძირითადი პრინციპები (ყოვლისმომცველობა, მოქნილობა და ადაპტირება, მდგრადობა/გამძლეობა) და კომპონენტები (სამხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა, ეკონომიკური თავდაცვა, ფსიქოლოგიური თავდაცვა, სოციალური თავდაცვა), რომლებზეც აგებულია ტოტალური თავდაცვის სისტემა,

მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ტოტალური თავდაცვის კონცეფციის წარმატებული იმპლემენტაცია მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო უწყებებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრადობის გაძლიერებას და მის უნარს, ეფექტურად უპასუხოს როგორც არსებულ, ისე პოტენციურ საფრთხეებს. თავში შესწავლილია სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ინტეგრაციის მექანიზმები ტოტალური თავდაცვის კონცეფციაში, მისი სპეციფიკური ფუნქციები და პასუხისმგებლობები კრიზისულ სიტუაციებში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე და სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში მათი ინტეგრაციის გზებზე. აღნიშნულია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მედგარ საზოგადოებას ქვეყნის უსაფრთხოების საკითხში. თავში განხილულია ფინეთის ტოტალური თავდაცვის სისტემა. ქვეყნის სტრატეგია გულისხმობს არა მხოლოდ ინდივიდუალური მზადყოფნის ამაღლებას, არამედ კოლექტიური მდგრადობის უზრუნველყოფას. ფინელებს ასწავლიან კრიზისებზე რეაგირებას, რაც ხელს უწყობს გამძლეობის კულტურის ჩამოყალიბებას. ასევე განხილულია თავშესაფრების სისტემის კრიტიკული მნიშვნელობა საომარი მოქმედებების დროს, მათი როლი მოსახლეობის სიცოცხლის გადარჩენასა და ზოგადად თავდაცვის უნარიანობის ამაღლებაზე. ამ თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს რეალობაში ტოტალური თავდაცვის პრინციპებისა და მიდგომების ადაპტაციის საკითხებს, არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. მიმოხილულია ის საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები, რომელშიც არის მცდელობები ტოტალურ თავდაცვის ქართულ რეალობაში დამკვიდრების.

მესამე თავში განხილულია სამოქალაქო თავშესაფრების მნიშვნელობა რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რუსეთის მიერ გამოყენებული საბრძოლო სისტემების შესწავლას. ომის პირობებში, რუსეთის სარაკეტო სისტემების, როგორიცაა „ისკანდერ“, „Kh-101“, „Kalibr“ და „Kh-22“, გამოყენებამ დაასუსტა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, რაც მკაფიოდ მიუთითებს სამოქალაქო თავშესაფრების აუცილებლობაზე. თავდასხმები უკრაინაში ხშირად უშუალოდ სამოქალაქო ობიექტებზე იყო მიმართული და მასშტაბური დაზიანებები გამოიწვია. რუსეთმა არ განასხვავა სამხედრო და სამოქალაქო

სამიზნეები, რის შედეგადაც ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, რადგან უკრაინას არ ქონდა კარგად ორგანიზებული თავშესაფრების სისტემა და ვერ განახორციელა მათი განახლება დროულად. ომმა წარმოაჩინა, რომ აუცილებელია ხარისხიანი და სანდო თავშესაფრები, რომლებიც არამხოლოდ აფეთქებებს, არამედ პირდაპირი თავდასხმებსაც გაუძლებს. ამის საპასუხოდ უკრაინის მთავრობა განახორციელა „რკინის თავშესაფრის" პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული თავშესაფრების რეკონსტრუქციასა და ახალთა მშენებლობას. რუსეთ-უკრაინის ომის განხილვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აუცილებელია გრძელვადიანი და კარგად დაფუძნებული უსაფრთხოების სტრუქტურების შექმნა, რომლებიც დაიცავს სამოქალაქო მოსახლეობას დიდ საფრთხეებისგან.

მეოთხე თავში დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების გამოწვევები. გამოკვეთლია სამი ძირითადი მიმართულება: კანონმდებლობა და ინსტიტუციები; ინფრასტრუქტურა და საზოგადოების ცნობიერება; საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას და არსებული რეგულაციების ეფექტიანობას საომარი მდგომარეობის დროს. ინსტიტუციური მიმართულებით პრობლემად დასახელებულია ცენტრალური მაკოორდინირებელი სისტემის არარსებობა. ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხილულია თავშესაფრების სისტემის მდგომარეობა, მათი ტექნიკური გამართულობა და მზადყოფნა კრიზისულ სიტუაციებში მოსახლეობის დასაცავად. ინფრასტრუქტურული გამოწვევების კვლევისას, აქცენტი კეთდება თავშესაფრების გეოგრაფიულ განაწილებაზე, მათ ტევადობაზე და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაზე. საზოგადოების ცნობიერების დონისა და მზადყოფნის შეფასებისას, გაანალიზებულია მოსახლეობის ინფორმირებულობა თავშესაფრების მდებარეობის, მათი გამოყენების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების პროცედურების შესახებ. წარმოდგენილია ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც შეისწავლიდა სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოების გაცნობიერებულობის დონეს. მეოთხე თავში ასევე წარმოდგენილია სამოქალაქო თავდაცვის სისტემის SWOT ანალიზი (ძლიერი მხარეები – S (Strengths), სუსტი მხარეები – W (Weaknesses), შესაძლებლობები – O

(Opportunities) და საფრთხეები – T (Threats));

ნაშრომის ბოლოს მოცემულია **დასკვნები,** რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ამოქმედება და მისი ინტეგრაცია ტოტალური თავდაცვაში. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტოტალური თავდაცვის პირობებში სამოქალაქო თავდაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე მრავალფეროვანი საფრთხეების - იქნება ეს ჰიბრიდული ომი, კიბერშეტევები, ბუნებრივი კატასტროფები თუ სხვა - წინააღმდეგ ბრძოლაში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ეფექტური ორგანიზება წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. სამოქალაქო თავდაცვას შეუძლია ეფექტურად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს მრავალმხრივი მიდგომით: მოსახლეობის მომზადებით საგანგებო სიტუაციებისთვის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვით, ჰიბრიდულ საფრთხეებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმების შექმნით და კიბერუსაფრთხოების გაძლიერებით. სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მჭიდრო კოორდინაცია სამხედრო სტრუქტურებთან უზრუნველყოფს მოქნილ და ეფექტურ პასუხს კრიზისულ სიტუაციებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავშესაფრების სისტემის განვითარება, სწრაფი შეტყობინების მექანიზმების დანერგვა და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრადობის ამაღლებას საფრთხეების მიმართ. სამოქალაქო და სამხედრო კომპონენტების კოორდინირებული მუშაობა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული არსებული რესურსები როგორც სამხედრო ოპერაციების, ისე საგანგებო სიტუაციების დროს. საქართველოსთვის, როგორც მცირე სახელმწიფოსთვის, რომელიც მუდმივად დგას უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება წარმოადგენს სტრატეგიულ აუცილებლობას, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავების შესაძლებლობას.

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ანალიზმა აჩვენა, რომ ეს მოდელი წარმოადგენს თანამედროვე უსაფრთხოების სისტემებისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც მოიცავს ქვეყნის რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას და ოპტიმალურ გამოყენებას კრიზისულ სიტუაციებში. ტოტალური თავდაცვა ეფუძნება იმ პრინციპს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის მხოლოდ სამხედრო სტრუქტურების პასუხისმგებლობა, არამედ მოითხოვს სამოქალაქო სექტორის, კერძო სექტორისა და საზოგადოების ფართო ჩართულობას. ტოტალური თავდაცვა აერთიანებს ხუთ კომპონენტს: სამხედრო, სამოქალაქო, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ტოტალური თავდაცვის კონცეფცია ადაპტირებადი და მოქნილი სისტემაა, რომელიც წარმატებით პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო ომები და ბუნებრივი კატასტროფები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ზომის ქვეყნებისათვის, რომელთაც წინაშეც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე.

სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გაძლიერება და ინტეგრაცია ტოტალური თავდაცვის კონცეფციაში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ეფექტური სამოქალაქო თავდაცვის სისტემის არსებობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას საგანგებო სიტუაციებში, არამედ მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის მდგრადობას და წინააღმდეგობის გაწევის უნარს საფრთხეების მიმართ. თუ გავითვალისწინებთ სამოქალაქო თავდაცვის სისტემის მრავალმხრივ შესაძლებლობებს, როგორიცაა მოსახლეობის ევაკუაცია, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, ეს სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს ქვეყნის ტოტალურ თავდაცვაში. სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მედეგობის ამაღლებას, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების უნარების გაუმჯობესებას და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც საბოლოო ჯამში აძლიერებს ქვეყნის ერთიან თავდაცვით შესაძლებლობებს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევითი საქმიანობის შესრულების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- ტოტალური თავდაცვის პირობებში, სამოქალაქო თავდაცვა ხდება არა მხოლოდ მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვის მექანიზმი, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიული კომპონენტი. მისი როლი ფართოვდება საგანგებო სიტუაციების მართვის, მოსახლეობის მომზადების, სამოქალაქო-სამხედრო კოორდინაციის და უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიმართულებით.
- სამოქალაქო თავდაცვა ამაღლებს ქვეყნის გამძლეობას ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე, რაც მოიცავს კიბერუსაფრთხოების გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის დაცვასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმების შექმნას.
- სამოქალაქო თავდაცვის სისტემა აყალიბებს ძლიერ საზოგადოებას. საზოგადოება, რომელმაც იცის კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წესები, დეზინფორმაციის იდენტიფიცირებისა და მისგან თავის დაცვის პრინციპები და აქტიურად ერთვება ცნობიერების ამაღლებისათვის განკუთვნილ ღონისძიებებში წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ძლიერი და მედეგი საზოგადოების მშენებლობისთვის. მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერება არა მხოლოდ ამზადებს მოქალაქეებს კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური მოქმედებისთვის, არამედ ნერგავს სიფხიზლისა და მზადყოფნის კულტურას, რაც აუცილებელია როგორც კონვენციური, ისე არაკონვენციური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.
- სამოქალაქო თავდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებით სამოქალაქო თავდაცვა უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვის მექანიზმს, რომელიც გადამწყვეტია ცოცხალი ძალის შენარჩუნებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სამობილიზაციო რეზერვის ეფექტურ ფუნქციონირებას. ეფექტურად ორგანიზებული თავშესაფრები არა მხოლოდ ამცირებს სამოქალაქო მსხვერპლს, არამედ აძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას კრიზისულ პერიოდში.

- დროული რეაგირების, საგანგებო შეტყობინებების და თავშესაფრების თანამედროვე სისტემების განვითარება ქმნის მოქნილ და ეფექტურ სისტემას კრიზისული სიტუაციებისათვის, რაც სწრაფად მოქმედების და მოსახლეობის დაცულობის ამაღლების საწინდარია.

საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის კვლევის პროცესში გამოიკვეთა პრობლემების სამი ძირითადი მიმართულებით - საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ინფრასტრუქტურა და საზოგადოების ცნობიერება. აღნიშნული პრობლემების ანალიზისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლის საფუძველზე დაისახა სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების გზები.

დადგინდა, რომ პირველ რიგში ქვეყანაში უნდა განახლდეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც განისაზღვრება ქვეყნის ინტერესები და საფრთხეები, რომლის შემდეგადაც შეიქმნება განახლებული სამხედრო სტრატეგია და ჩამოყალიბდება ტოტალური თავდაცვის კონცეფცია. ტოტალური თავდაცვის კონცეფციამ უნდა განსაზღვროს სამხედრო და სამოქალაქო სფეროს პასუხისმგებლობები და მათი თანამშრომლობის მექანიზმი.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას კანონი სამოქალაქო თავდაცვის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის როლს ტოტალური თავდაცვის მიდგომებზე დაფუძვნებული თავდაცვის დაგეგმვის პოლიტიკაში. კანონმა უნდა დააზუსტოს სამოქალაქო თავდაცვის სუბიექტების უფლება-მოვალეობები, მათი პასუხისმგებლობის არეალი და კოორდინაციის მექანიზმები. მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მკაფიო ინსტიტუციური სტრუქტურა (მაგალითად, სამოქალაქო თავდაცვისა კომიტეტი), რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო უწყებებს, ადგილობრივ მთავრობებსა და კერძო სექტორს სამოქალაქო თავდაცვის ფარგლებში დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულების პროცესში.

სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების პროცესში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. რუსეთ-უკრაინის ომში გამოყენებული შეარაღების სისტემების ანალიზი ხაზს უსვამს თავშესაფრების

აუცილებლობას, რომლებმაც უნდა გაუძლონ თანამედროვე საომარი მოქმედებების საფრთხეებს, მათ შორის მაღალი სიმძლავრისა და სიჩქარის რაკეტებსა და არტილერიას ("ისკანდერ-M", "ტოჩკა-უ", BM-21, 2S19 "მსტა", "ბუკ-M1", X-101/X-555). ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ნაკლებად მოსალოდნელია საქართველოს წინააღმდეგ ბირთვული და ქიმიური იარაღის გამოყენება და შესაბამისად თავშესაფრების გათვლა არ უნდა მოხდეს მსგავსი სახის საფრთხეზე. ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ომიანობის დროს თავშესაფრების ქსელის გამართვა რთულია და უმჯობესია ქვეყანაში წინასწარ მოწესრიგდეს თავშესაფრების ქსელი. თავდაპირველად უნდა აღირიცხოს როგორც საბჭოთა პერიოდის თავშესაფრები, ისე სხვა პოტენციური სივრცეები (მეტროს სადგურები, მიწისქვეშა გადასასვლელები, სარდაფები) და დაკატეგორიზდეს მათი გამოყენების პოტენციალის მიხედვით. ამასთანავე, უნდა განხორციელდეს ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების შეფასება, რის საფუძველზეც უნდა დაიგეგმოს ძველი თავშესაფრების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს A-4 ტიპის თავშესაფრის მშენებლობა, თუმცა უნდა დაიწყოს სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობა უფრო დაცული ტიპის თავშესაფრების მშენებლობისთვის. უნდა შედგეს პროფესიონალ ინჟინრების (მათ შორის სამხედრო ინჟინრები) ჯგუფი, რომლებიც დააპროექტებენ აღნიშნული ტიპის თავშესაფრებს.

სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი არის შეტყობინების სისტემა და საევაკუაციო გეგმები. მნიშვნელოვანია შეიქმნას ადრეული გაფრთხილების სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს დროულად მიიღონ ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. ასევე, უნდა განისაზღვროს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის და პირუტყვის ევაკუაციის გეგმის არსებობა, რათა კონფლიქტის შემთხვევაში მოხდეს მათი დროული და სწორი ევაკუაცია.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემამ მოიცვას მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. სამოქალაქო თავდაცვის საკითხების შესწავლა უნდა დაიწყოს სკოლაში. ამისათვის უნდა დაინერგოს სპეციალური საგანმანათლებლო მოდულები, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა კრიზისულ სიტუაციებში

მოქმედების წესები, გამაფრთხილებელი სიგნალების ამოცნობა, ან თუნდაც იარაღთან მოპყრობის წესები და, არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრებში ევაკუაციის წესები, ხელს შეუწყობს მოსწავლის თავდაცვისუნარიან მოქალაქედ ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია რეგულარული სიმულაციური ვარჯიშების ჩატარება, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებს. ზრდასრულ მოსახლეობაში სამოქალაქო თავდაცვის საკითხებზე ცოდნის ამაღლება უნდა მოხდეს საინფორმაციო მასალების გავრცელებით, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება მზადყოფნაზე და საგანგებო სიტუაციების დროს მოქალაქეთა როლებზე. ამ პროცესში აქტიური როლი უნდა შეასრულოს მასმედიამ.

საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამი ფუნდამენტური კომპონენტის ინტეგრირებული განვითარება: საკანონმდებლო-ინსტიტუციური ჩარჩოს სრულყოფა, სამოქალაქო თავდაცვის კრიტიკული ინფრასტრუქტურის გაძლიერება და საზოგადოების მზადყოფნის დონის ამაღლება. ამ კომპონენტების სისტემური განვითარება შექმნის მდგრად სამოქალაქო თავდაცვის სისტემას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ტოტალური თავდაცვის კონცეფციის წარმატებულ იმპლემენტაციას.

ნაშრომის სტრუქტურა და აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია 137 გვერდზე, იგი შედგება შესავალის, 4 თავის, და 14 ქვეთავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურისგან. ნაშრომში მოცემულია ცხრილები,დიაგრამები და სურათები და მადლიერების გვერდი.

სტატიები

- **„Aspects of designing shelters in Georgia“** რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობის (ISSN 1512-3936) სამეცნიერო ტექნიკურ ჟურნალ „მშენებლობა“-ში (№2 (70), 2024) ჩემს ხელმძღვანელ ასოცირებულ პროფესორ თეიმურაზ მელქაძესთან ერთად. სტატიაში განხილულია საქართველოში შესაძლო საგანგებო სიტუაციებში და საომარი მოქმედებების დროს მოსახლეობის დაცვის აქტუალობა კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენებით. უკრაინაში მიმდინარე ომის გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით, სტატია გვთავაზობს რეკომენდაციებს საქართველოში არსებული თავშესაფრების რეკონსტრუქციისა და ახალი თავშესაფრების მშენებლობისთვის.
- **„თავშესაფრების როლი სამოქალაქო თავდაცვაში“,** რომელიც გამოქვეყნდა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის გამომცემლობის (ISSN: 2720-8184) სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალში ,,სამხედრო შრომებში”-ში (№1, 2024), ჩემს ხელმძღვანელ ასოცირებულ პროფესორ თეიმურაზ მელქაძესა და ფიზიკის აკად. დოქტორ თორნიკე ქიმერიძესთან ერთად. ნაშრომი მიმოიხილავს სამოქალაქო თავდაცვის ევოლუციას და თავშესაფრების სისტემის განვითარებას. შეისწავლის მისი მშენებლობის საერთაშორისო გამოცდიელბას და სტანდარტებს და ამის საფუძველზე გასცემს რეკომენდაციებს თუ როგორ შეიძლება საქართველოში თავშესაფრების სისტემის განვითარება.
- **„სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობა და როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე“,** რომელიც გამოქვეყნდა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის

აკადემიის გამომცემლობის (ISBN 978-9941-8-3692-3) სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის ნაშრომთა კრებულში 2021 წელს.

გარდა ამისა, თემასთან მცირედი შეხება ჰქონდა ჩემს მოხსენებას სამხედრო კონფერენციაზე - „ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე“, რომელიც გაიმართა 2021 წლის დეკემბერში, ქალაქ გორში. ასევე, ვიყავი ნაშრომის ხელმძღვანელი 2022 წელს ქალაქ გორში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, სადაც ჩემი ხელმძღვანელობით მომხსენებელმა წარადგინა თემა “ტოტალური თავდაცვის როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება-განმტკიცების საკითხში”.